

თეა კობახიძე

ასურელ მამათა სახე ბრეთის კედლის მხატვრობაში

ბრეთის ქრისტიანული ხუროთმოძღვრული კომპლექსი ორ ეკლესიას მოიცავს: წმიდა გიორგის დარბაზულ ტაძარს (ორმხრივი გარშემოსავლელითა და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ჩაშენებული მცირე სამრეკლოთი) და მამა პიროსის მინიატურული ზომების საყდარს.

ბრეთში რელიგიური ცენტრის დაარსება ათცამეტი ასურელი მამის საქართველოში მობრძანების მნიშვნელოვან ფაქტს უკავშირდება. ეს ადგილი იოანე ზედაზნელის მიერ მამათა ზედაზნიდან განტეგების შემდგომ („განმსწავლემან თჳსთა მონაფეთამან სანატრელმან მამამან იოანე წარავლინა იგინი ქადაგებად“) [1:39], წმიდა პიროსმა აირჩია სამოღვაწეოდ და მცირე ეკლესიის აგებაც მისი ქრისტიანული ღვაწლის ნაწილია („მტკვრის ჩრდილოთ ამ მდინარის აღმოსავლეთით არის ბრეთის მონასტერი... რომელი ქნა პიროს იგი მამათაგანმან“) [2:81]. წმიდა მამისადმი ხაზგასმული სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად ხალხი საყდარს უხსოვარი დროიდან მამა პიროსის ეკლესიას უწოდებს (უცნობია ვისი სახელობისა იყო მამა პიროსის დაარსებული ეს უძველესი საყდარი, ალბათ წმიდა გიორგის სახელობისა. ამ აზრის სუბსტანცია მცირე საყდრის გვერდით მოგვიანებით (VIII ს.) აგებული წმიდა გიორგის ეკლესიაა. ამ უკანასკნელის სახელობითობა სავარაუდოდ, მცირე საყდარმა განაპირობა. მას კი სავანის დამაარსებლის, დიდი პიროსის ეკლესია ეწოდა.

მამა პიროსის ეკლესიის ვიზუალური სახე XX ს. ბოლოს სავალალოდ იკითხებოდა. ჩამოქცეული იყო სახურავი, აფსიდის თალი, დაზიანებული და დარღვეული კედლების პერანგი, აღარ არსებობდა იატაკი, ეკლესიის ინტერიერი მინითა და ქვით იყო სავსე. ბნელ და ჩახერგილ საყდარში შესვლაც კი შეუძლებელი იყო. ბევრს ვერც წარმოედგინა რომ წმიდა გიორგის ტაძრის ჩრდილოეთით მიდგმული ეს „ბნელი სათავსი“ დიდი პიროს ბრეთელის მესიანური ღვაწლის მადასტურებელი უძველესი ეკლესია იყო.

1997 წელს ურბნის-რუისის ეპარქიის წინამძღვრის, მეუფე იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით ბრეთის ცენტრის წინამძღვრად მღვდელ-მონაზონი ზაბულონი (გელაშვილი) დაინიშნა. სწორედ არქიმანდრიტ ზაბულონის სარწმუნოებრივი მოღვაწეობის ნაწილია ბრეთის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში ჩატარებული სერიოზული აღდგენითი სამუშაოები: გაიწმინდა და მოპირკეთდა ტაძრის ეზო.

გარს შემოერთცა საშუალო სიმაღლის ქვის გალავანი, სამხრეთით ჩაიდგა კოხტა, კრამიტის სახურავიანი ჭიშკარი. მიწის, ძეძვისა და ქვა-ლორღისაგან გაინმინდა ტაძრის ექსტერიერის ქვედა ნაწილი (გარე კედლებს 1მ სიმაღლეზე მიწა ფარავდა), ინტერიერი ფრესკებით დაიფარა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მამა პიროსის მცირე საყდარი წმიდა გიორგის ეკლესიის აგების შემგომ მას მიუერთეს. მამა პიროსის ეკლესია აღმოსავლეთით აფსიდით დასრულებული მცირე ზომისა და მარტივი გეგმის მქონე ოთხკუთხა ნაგებობაა. მას გარედან დამოუკიდებელი შესასვლელი არა აქვს. მასში მოხვედრა წმიდა გიორგის ეკლესიის ინტერიერის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში გაჭრილი დაბალი თაღოვანი გასასვლელით ხერხდება.

საყდრის ინტერიერი სამი მცირე ზომის სარკმლით ნათდება. მიუხედავად საყდრის მინიატურულობისა, ეს განათება მაინც არასაკმარისია ინტერიერისათვის. თუმცა, ვფიქრობ, ფრესკული მხატვრობის კოლორიტული სიხასხასის შესანარჩუნებლად ურიგო არაა ინტერიერის არასაკმარისი განათება. (შიდა სივრცის არასაკმარისი განათების წყალობით შენარჩუნდა დამიანეს დიდებული მხატვრობა უბისაში [3], ინტერიერის გაუნათებლობამ გადაარჩინა ბიზანტიური კედლის მხატვრობის სკოლის ერთ-ერთი შედეგის კარანლიკის ფრესკები [4].

მამა პიროსის ეკლესიის ინტერიერი განახლდა, კედლები შეილესა და მშვენიერი ფრესკებით დაიფარა (კედლის მხატვრობითაა დაფარული წმიდა გიორგის ეკლესიის ინტერიერი და გარეშემოსავლებებიც სრულიად). მამა პიროსის ეკლესიის ფრესკები ხატმწერ იოსებ ჭინჭარაძის შესრულებულია 2002 წ. (იგი ამჟამად სასულიერო მოღვაწეა, მღვდლის ხარისხით).

რელიგიურ სცენათა და პერსონაჟთა ფრესკული განაწილება მამა პიროსის საყდრის ინტერიერში ამგვარია: აფსიდის კონქში „დეისუსია“ კამარაში „ხელთუქმნელი ხატის ანგელოზთაგან განდიდების“ კომპოზიცია. აფსიდის ქვედა რეგისტრში, ცენტრში, სარკმლის ორსავე მხარეს უმაღლესი იერარქიის ანგელოზებია წარმოდგენილი ტეტრამორფი ქერუბიმი და ექვსფრთედი სერაფიმი. მათ გვერდით მოციქულთა და მღვდელმთავართა გამოსახულებებია.

ეკლესიის კამარული გადახურვის ფარგლებში საუფლო ციკლის 4 სცენაა: „შობა“ (ჩრდ-აღმ.), „ჯვარცმა“ (ჩრდ-დას.), „ნათლისღება“ (სამხ-აღმ.) და „ფერისცვალება“ (სამხ-დას.). აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუფლო ციკლის სცენებს ერთმანეთისაგან სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ზოლი გამოჰყოფს. თითოეული სცენა კი თეთრი წვრილი კანტითაა მოჩარჩობული.

ჩრდილოეთ კედელზე, სარკმლის ორივე მხარეს წმიდანთა გამოსახულებებია (აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: წმიდა სოსანა, წმიდა ნინო, წმიდა ზაბულონი, წმიდა გიორგი, წმიდა კვირიკე (სარკმლის ქვეშ), წმიდა ნანა, წმიდა მირიანი, წმიდა ვახტანგ გორგასალი).

დასავლეთ კედელზე ზედა რეგისტრის ნახევარწრიულ მონაკვეთში სარკმლის ორივე მხარეს „ხარების“ კომპოზიცია გაშლილი, ქვემოთ კი ეკლესიის დიდი მოღვაწენი: გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი და 4 ათონელი მამა-წმიდა ექვთიმე, წმიდა გაბრიელი, წმიდა იოანე, წმიდა გიორგი.

სულ ქვედა, ე.ი. ნახევარრეგისტრულ მოხატულობას კრეტსაბმელი წარმოადგენს. (ეს თემა საერთოა ორივე ტაძრისა და გარემოსავლელისათვის).

მცირე ეკლესიის სამხრეთი კედლის კომპოზიციური გადაწყვეტა თემის მთავარი ნაწილია. კედლის ქვედა მონაკვეთზე განივი ნიშია, მასში წმიდა პიროს ბრეთელის განსასვენებელია. ნიშის სიმაღლე იატაკიდან 0.75 მ; სიღრმე 0.42 მ. საფლავის სიგრძე 1.74 მ. საფლავი მოპირკეთებულია სტილიზებული მცენარეული მოტივითა და ვაზის სკულპტურული გამოსახულებით შემკული შავი მარმარილოთი. ზემოდან კი მედალიონებში ჩართული ვაზის რელიეფური გამოსახულებით შემკული ღია ფერის ძვირფასი ქვისა ფილითაა დამშვენებული (კრეტსაბმელის ფრესკული მოტივი აქაც არ წყდება, ის ნიშის სიღრმეშია განთავსებული).

საფლავის ნიშის თავზე კი, კედლის მთელ სიგრძეზე თაღოვან გასასვლელამდე, კედლის მხატვრობის მეტად შთამბეჭდავი, ერთიანი კომპოზიციაა განფენილი. ის ასურელ მამათა სრულ შემადგენლობას გამოხატავს. (ფრესკის ზომები: სიმაღლე 1.38 მ, სიგრძე 2.51 მ).

კომპოზიცია ფრონტალურადაა განფენილი, თითოეული მამის სახე კი მკაფიოდ და ხასგასმულად გამოყოფილი. მიუხედავად მკვეთრი ჰორიზონტალურობისა კომპოზიცია დაუნაწევრებელია, ერთიანი, იგი ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მამები ორ რიგად არიან წარმოდგენილნი. წინა პლანზე, I რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: წმიდა აბიბოს ნეკრესელი, წმიდა ანტონ მარტყოფელი, წმიდა თადეოზ სტეფანწმიდელი, წმიდა იოანე ზედაზნელი, წმიდა პიროს ბრეთელი, წმიდა მიქაელ ულუმბოელი, წმიდა ისე ნილკნელი.

მეორე რიგში, უკანა პლანზე, მარცხნიდან მარჯვნივ: წმიდა ისიდორე სამთავნელი, წმიდა ზენონ იყალთოელი, წმიდა შიო მღვიმელი, წმიდა დავით გარეჯელი, წმიდა სტეფანე ხირსელი, წმიდა იოსებ ალავერდელი.

კომპოზიციამი ფიგურათა განაწილება მკაფიოდ გააზრებულია. მითითება უკანა და წინა პლანისა ძალზე პირობითია. ორ რიგად

მათი განთავსებით ხატმწერი კომპოზიციურ კომპაქტურობას მოიპყრებს: თუმც ფიგურათა განშლის იმგვარად მოხერხებულ ხერხს მიმართავს, ფიგურები ერთმანეთს არ ფარავენ. წინა რიგში 7 მამაა, უკან 6. უკანა რიგში მდგომი თითუელი ფიგურის განთავსება ორ წინა ფიგურას შორის ხდება. უკანა რიგის წმიდანები ხაზგასმულად მალღებია არიან I მწკრივის წმიდანებზე. მაგრამ ეს სიმალღე სრულიად არა ქმნის დისონანსს. მეორე რიგში წარმოდგენილი წმიდანები თითქოს შემალღებულ ადღილას დგანან. ამ ხერხით პრიმიტიული კომპოზიციური განთავსება უკუდღებუღია. სცენის ყვეღა პერსონაჟი სრულყოფიღად იკითხება. კომპოზიციღა არა სიგრძეზე განღიღიღი, არამედ შეკრული და დასრულღებუღია. იმავედროულად გათვალისწინღებუღია მამათა ღირსებითი თანასწორობა და თანაბარი მნიშვნეღოვნება.

კომპოზიციურ მთღიანობას მნიშვნეღოვანწიღად განაპირობებს კოლორიტიული გადაწყვეტაც. კომპოზიციის გამა ლაჟვარდისფერი და ღია ყავისფერიღ, თითქმის მოქქროსფრო. დომინირებს მკვეთრი ოქქროსფერი (წმიდანთა დიდი ნიშმები ასომთავრული წრიული წარწერებით. წმიდა პიროსი მოკრძალღებულად ხაზგასმულია ნიშმაში ჩანერიღი წითელი ასოებით. დანარჩენ მამათა ვინაობის მადასტურებელი ნიშმური წარწერები ყავისფერიღ), იისფერი, მონაცისფრო-თივისფერი. ამ ფერთა რაფინირღებული შეხამება და მონაცვღეობითი გამეორება აწონასწორებს სცენას. ბერთა უმეტესობა კუკოღითა თავშეკმული. ორი მკვეთრი თეთრი, შვეჯვრებიანი სეგმენტი კომპოზიციის მარცხნივ და მარჯვნივ წმიდა აბიბოსისა და ისეს სამღვეღმთავრო შესამოსეღის ნაწიღი და მათი სტატუსის მადასტურებღია. სამღვეღმთავრო შესამოსეღიან მამათა თავსა და ბოლოში განთავსებით ხატმწერი კომპოზიციის შეკრუღობას, დასრულღებუღობას აქცენტირებს.

დენადი ხაზი, შესამოსეღის სწორად განაწიღებული დრაპირება და ბღიკები დახვეწიღი მოცუღობითობის გარანტიღ. სადად, მაგრამ ხაზგასმულად გამოიკვეტება ატრიბუტებიც, მამათა ღვანღლთან დაკავშირღებული წმიდა სეგმენტიბი: იოანე ზედაზნეღის ცენტრალური ფიგურა მარცხენა ხეღში გრავნიღითა და მაკურთხევეღი მარჯვენით გამოისახება. წმიდა ანტონი ხეღთუქმენღი ხატიღ, მღვეღმთავრები სახარებებით, წმიდა შიო ხეღისგულზე ანთებული საკმეღლით. საინტიერესოა წმინდა პიროსი, იგი მლოცვეღის პოზაშიღ, ხეღებაპყრობიღი. ბრეთის დედათა მონასტრის (წინამღღვარი-კეთიღმონესე დედა ანგეღინა (ოსაძე) მონაზვნები: დედა ნეონიღა, დედა თომაიღა, დედა დინარა) წევრთა განმარტიბით, არსებობს მრავალსაუკუნოვანი წმიდა გარდამოცემა, რომეღიც

წმიდა მამა პიროსს სინანულის მოძღვრად მოიხსენიებს. იგი, მარად მლოცველი, სინანულისა და ლოცვა-ვედრებისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. ფრესკაზე წმიდანი მლოცველთადმი ნებით მიმართული აპყრობილი ხელებით სიმშვიდისა და სინანულის მოძღვრად წარმოგვიდგება.

კომპოზიციაში მამათა სახეები ურთიერთმსგავსიცაა და განსხვავებულიც. ხატმწერი ცდილობს თითოეული მათგანი ხაზგასმული მახასიათებლით გამოკვეთოს. პარალელურად ამისა, მამები მსგავსნი არიან. ეს საოცარი იდენტურ-განსხვავებულობა ტრანსცენდენტურია, იმავდროულად ტრივიალურიც. მამები მსგავსნი არიან სინმიდით, უბინოებით, ღვთივგანბრძნობილი მზერით, განსხვავებულინი კი გარეგნული ნიშნებით.

ამ უძველეს მცირე საყდარში დიდი მადლი და სინმიდეა დავანებული. სამხრეთის ფრესკა და ნიშაში განთავსებული დიდი მამის გამშვენებული საფლავი ერთიან დიდებულ კომპოზიციას ქმნიან. აქ ე.წ. სკულპტურულ-ფრესკული ჰარმონიაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები თბ., 1955
2. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია; თბ., 1997
3. შალვა ამირანაშვილი, დამიანე, თბილისი „ხელოვნება“ 1980წ
4. Jeffrey Lamek, Cappadocia, silk road publicaton
5. Mehmet Cuhadar, cappadocia, 2007

Tea Kobakhidze

The image of Asyrian Fathers on Breti Fresco

Summary

St. Piros of Breti was one of the Asyrian monks who established monastic institute in Georgian reality.

The christian architectural centre of Breti was founded by Holy Father Piros.

The architectural complex consists of two churches.

Great restoration work has been done here recently. The interiors of the churches were cleaned and covered with impressive frescos. The purpose of the article is the discussion of one interesting fresco. It is in the interior of st. Piros Church and represents the thirteen Asyrian Fathers.



ბრეთის ეკლესია



ბრეთი. 13 ასურელი მამის ფრესკა



ბრეთი. პიროს ბრეთელის საფლავი